ETHICS Glossary

The below presented list integrates all the relevant Abbreviations, terms and definitions that enhance the understanding as well as awareness of Research Integrity. Due to the lack of the definitions on Georgian, some presented translations are the first attempts in order to provide the adaptation of the Georgian Language. The glossary needs further agreement from the ETHICS local community in order to transform the presented new terminology into the shared and acceptable ones thus raise the ownership from the academic community and being used during the ETHICS further communication strategy.

ტერმინი		განმარტება
არაეთიკური ავტორობა (UNETHICAL AUTHORSHIP)		კვლევის ავტორად ისეთი პირის ჩართვა, რომელსაც კვლევაში წვლილი არ მიუძღვის; კვლევის ავტორთა სიიდან კვლევის რეალური მონაწილე პირის ამოღება; ავტორების თანმიმდევრობის გაუმართლებელი და არასათანადო შეცვლა; შემდგომ პუბლიკაციებში მონაწილე პირთა სახელების ამოღება; საკუთარი უფლების გამოყენება კვლევის ავტორის სახელის დამატების მიზნით, ყოველგვარი წვლილის გარეშე; ავტორის ჩართვა მისი ნებართვის გარეშე.
არასწორი წყარო/404 შეცდომა (INVALID SOURCE 404 Error) [პლაგიატი]		ცრუ წყაროების მითითება, ცრუ აკადემიური კვალიფიკაცია - ვადაგასული ბმულის ან არარსებული წყაროს მითითება.
ბიოეთიკა (BIOETHICS)		არჩევანის გაკეთება „სწორი“ და „არასწორი“ ღირებულებებისა და ქცევის გარშემო ბიომედიცინასა და ბიოსამედიცინო კვლევაში.
გამოგონილი ავტორობა (INVENTED AUTHORSHIP)		გულისხმობს შემდეგს: 1) ფიქტიური პირის ავტორად მითითებას. (2) მათ შორის, კოლეგის თანაავტორად ჩართვას, ნებართვის გარეშე. (3) მათ შორის, უცხო პირის თანაავტორად მითითებას ნებართვის გარეშე.
გამოქვეყნებული ნაშრომის უკან გაწვევა (რეტრაქცია) (RETRACTION)		გამოქვეყნებული ნაშრომის ამოღება სამეცნიერო ბაზიდან, იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები ან შედეგები არ არის სანდო ან ნაშრომი უკავშირდება კვლევით არაკეთილსინდისიერებას. ჟურნალები აქვეყნებენ უკან გაწვევის შეტყობინებებს და აღნიშნავენ ამოღებულ ნაშრომებს ელექტრონულ ბაზებში, რათა გააფრთხილონ სამეცნიერო საზოგადოება პრობლემების შესახებ.
გადამეტებული პუბლიკაცია/ (REDUNDANT PUBLICATION Augmented publication Auto-plagiarism Covert duplication Duplicate publication Duplication Recycle [plagiarism] Self-plagiarism Text-recycling)		იგივე გაძლიერებული პუბლიკაცია/ ავტომატური პლაგიატი/ფარული დუბლირება/დუბლიკატი პუბლიკაცია/დუბლირება/ გადამუშავებული დუბლირება,[პლაგიატი]/თვითპლაგიატი/ტექსტის ხელმეორე გადამუშავება - გამოქვეყნებული ნაშრომი (ან გამოქვეყნებული ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილები) გამოცემულია ერთზე მეტჯერ (იმავე ან სხვა ენაზე) წყაროს/ჯვარედინი მითითების/დასაბუთების სათანადო მითითების გარეშე. ეს ასევე ხდება მაშინ, როდესაც ერთი და იგივე (ან მნიშვნელოვნად გადაფარული) მონაცემები წარმოდგენილია ერთზე მეტ პუბლიკაციაში ადეკვატური ჯვარედინი

		მითითების/დასაბუთების გარეშე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს კეთდება ისე, რომ რეცენზენტებმა/მკითხველებმა ნაკლებად სავარაუდოა, რომ გააცნობიერონ, რომ დასკვნების უმეტესობა ან ყველა უკვე გამოქვეყნებულია.
დაუდევრობა (NEGLIGENCE)		სავალდებულო ზრუნვის სტანდარტის დაუცველობა, რაც იწვევს პირის ან ორგანიზაციისთვის ზიანის მიყენებას.
ეთიკურობის დადასტურება (ETHICAL APPROVAL)		არის ფორმალური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ კვლევის წინადადება ან გეგმა აკმაყოფილებს ეთიკურ სტანდარტებს და ითვალისწინებს მენეჯმენტის ფაქტორებს, რომლებიც აუცილებელია შესაძლო რისკებისა და ეთიკური საკითხების მოსაგვარებლად.
ერთდროული/მრავალჯერადი წარდგენა (SIMULTANEOUS/multiple SUBMISSION)		კეთილსინდისიერების დარღვევა, რომელიც გულისხმობს ნაშრომის ერთდროულად წარდგენას სხვადასხვა ჟურნალში ან სხვა ტიპის გამოცემებში, რის შედეგადაც შესაძლებელია ამ კონკრეტული ნაშრომის ერთზე მეტ ჟურნალში ან სხვა გამოცემაში გამოქვეყნება.
„თემების/ესეების ქარხანა“ (PAPER MILL Essay mill)		კომერციული მომსახურების ორგანიზაცია (როგორც წესი, ინტერნეტზე დაფუძნებული), რომელიც დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს ტექსტურ მასალებს (მაგალითად, ესეებს, ანგარიშებს, საშინაო დავალებების პასუხებს, პირად განცხადებებს, რეფლექსიურ დღიურებს).
თვითპლაგიატი/ გაფართოებული პუბლიკაცია (SELF-PLAGIARISM Augmented publication)		გამეორებითი გამოქვეყნების ფორმა, რომელიც გულისხმობს ავტორის მიერ საკუთარი წინა ნაშრომიდან შინაარსის „გადამუშავებას ან გადმოღებას ციტირების გარეშე“. იგივე ავტოპლაგიატი, ფარული დუბლირება, დუბლირებული პუბლიკაცია, დუბლირების გადამუშავება [პლაგიატი], ზედმეტი პუბლიკაცია.
ინფორმირებული თანხმობა (INFORMED CONSENT)		კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა, რომელიც დაფუძნებულია კვლევის შესახებ მკაფიო და დეტალურ ინფორმაციაზე.
კეთილსინდისიერება (INTEGRITY)		ეთიკური და პროფესიული პრინციპების, სტანდარტების, პრაქტიკისა და ღირებულებების ერთიანი სისტემის დაცვა, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებისა და ქმედებების სახელმძღვანელოს წარმოადგენს.
კვლევის არაკეთილსინდისიერების FFP კატეგორიზაცია (Research misconduct FFP Categorization)		განისაზღვრება როგორც ფაბრიკაცია, ფალსიფიკაცია ან პლაგიარიზმი (ე.წ. FFP კატეგორიზაცია) სამეცნიერო კვლევების ინიცირების, განხორციელების ან კვლევის შედეგების ანგარიშგებისას. ფაბრიკაცია არის მონაცემების ან შედეგების შელამაზება/გადაკეთება და მათი წარმოდგენა ისე, თითქოს ნამდვილია. ფალსიფიკაცია არის მანიპულირება კვლევის მასალებით, მოწყობილობებით, ფოტოებით ან პროცესებით, ანდა მონაცემებისა თუ შედეგების შეცვლა, გამოტოვება ან წაშლა, შესაბამისი დასაბუთების გარეშე. პლაგიარიზმი არის სხვა ადამიანთა ნაშრომების ან იდეების გამოყენება, ორიგინალი წყაროს დასახელების გარეშე.
კვლევითი დარღვევა/დანაშაულად მიიჩნეული ქცევა (RESEARCH MISCONDUCT)		მიუღებელი ან არაჯეროვანი ქცევა კვლევის ნებისმიერ ეტაპზე.

კვლევითი თაღლითობა / სამეცნიერო თაღლითობა (RESEARCH FRAUD Scientific fraud)		ნებისმიერი განზრახ მოტყუების აქტი, რომელიც არღვევს კვლევის ეთიკის წესებს.
კვლევის ეთიკა / სამეცნიერო ეთიკა (RESEARCH ETHICS Scientific ethics)		გადაწყვეტილებების მიღება ეთიკური პრინციპების საფუძველზე, რაც ეფუძნება კვლევის სუბიექტებზე და ფართო საზოგადოებაზე პოტენციურ ზემოქმედებას.
კვლევის ეთიკის კომიტეტი (REC) (RESEARCH ETHICS COMMITTEE (REC))		მრავალდარგობრივი, დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია კვლევითი პროექტების/წინადადებების გადახედვაზე, რათა დარწმუნდეს, რომ დაცულია შესაბამისი პროცედურები და უზრუნველყოფილია მონაწილეთა (ადამიანთა ან ცხოველთა) ღირსება, უფლებები და კეთილდღეობა.
კვლევის / სამეცნიერო კეთილსინდისიერება [RESEARCH INTEGRITY / Scientific integrity]		კვლევაში ფიზიკური პირების ან ინსტიტუტების მიერ ეთიკური და პროფესიული პრინციპების, სტანდარტებისა და პრაქტიკის დაცვა.
კვლევის პასუხისმგებლიანი ჩატარება (RESPONSIBLE CONDUCT OF RESEARCH)		კვლევის ჩატარება კვლევის ქცევის კოდექსის შესაბამისად.
კვლევის შესაბამისობა (RESEARCH COMPLIANCE)		ქცევა/პროცესები, რომლებიც მიჰყვება კვლევის კეთილსინდისიერების პრინციპებს.
კონტრაქტული თაღლითობის სერვისები (CONTRACT CHEATING SERVICES)		წარმოსახვითი წერა - საკონსულტაციო მომსახურების ტიპი, როდესაც კომპანია ან ფიზიკური პირი პირს სთავაზობს შეკვეთით შესრულებულ სამუშაოს, რათა ის საკუთარ ნამუშევარად წარმოადგინოს.
კონტრაქტული თაღლითობა (CONTRACT CHEATING)		აკადემიური გადაცდომის ფორმა, როდესაც პირი იყენებს გამოუცხადებელ და/ან არაავტორიზებული მესამე მხარეს, რათა დაეხმაროს მას აკადემიური კრედიტის ან წინსვლისთვის ნაშრომის შექმნაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს დაკავშირებული ანაზღაურებასთან ან სხვა სახის შეღავათთან.
მთარგმნელობითი პლაგიატი (TRANSLATION PLAGIARISM)		სხვა ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის თარგმნა ავტორობის მითითების გარეშე.
მოზაიკური პლაგიატი ჰიბრიდული პლაგიატი, მიქს-აფი [პლაგიატი], რემიქსი [პლაგიატი], გამჭრიახი/რესორსული ციტატორი, რეტვიტი [პლაგიატი] (PATCHWRITING Hybrid plagiarism Mosaic plagiarism Mashup [plagiarism] Remix [plagiarism]		არაორიგინალი ნაშრომი, რომელიც შედგება რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან აღებული ან დაუდასტურებელი ამონარიდებისგან.

Resourceful citer Re-tweet [plagiarism])		
მონაცემთა მართვის FAIR პრინციპები (FAIR principals)		წარმოადგენს აბრევიატურას, რომელიც მონაცემების გამოყენების პროცესში გზამკვლევად საზღვრავს 4 პრინციპს -1. Findable - მიკვლევადობა, 2. Accessible - მისაწვდომობა, 3. Interoperable - თავსებადობა და 4. Reusable - ხელახალი გამოყენება.
მონაცემთა ჩახშობა (SUPPRESSION (OF DATA))		მონაცემების ფალსიფიკაციის ფორმა, რომელიც გულისხმობს იმ მონაცემების შეზღუდვას ან გამოტოვებას, რომლებიც არ შეესაბამება სასურველ დასკვნებს ან შედეგებს.
პირატობა (PIRACY)		იდეების, მონაცემების ან მეთოდების მითვისება სხვებისგან ნებართვის ან დადასტურების გარეშე, განსაკუთრებით მუსიკალურ ინდუსტრიასა და IT სექტორთან დაკავშირებით.
პუბლიკაციის მიძღვნა/აღიარება (PUBLICATION ACKNOWLEDGEMENT)		პუბლიკაციებში იმ პირთა სახელებისა და როლების აღიარება, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კვლევაში, მაგრამ არ აკმაყოფილებენ ავტორის კრიტერიუმებს.
რეპლიკაცია (REPLICATION)		კვლევის ხელახალი ჩატარება, რათა დადასტურდეს ან გაფართოვდეს თავდაპირველი შედეგები.
რეპროდუქცირება (REPRODUCTION)		რეპროდუცირება ნიშნავს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის ასლის (ასლების) დამზადებას ნებისმიერი საშუალებით და ნებისმიერი მატერიალური ფორმით, მათ შორის ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების ობიექტის მუდმივ ან დროებით შენახვას, მთლიანად ან ნაწილობრივ, ელექტრონული ან სხვა ფორმით.
რეცენზენტთა და ავტორთა კარტელები (cartels of reviewers and authors)		გულისხმობს რეცენზენტთა და ავტორთა შორის გარიგებასა და შეთანხმებებს ერთმანეთის პუბლიკაციათა რეცენზირებასა და შეფასებაზე, რათა ხელოვნურად გაიზარდოს ციტირების მაჩვენებლები.
საერთო შემოქმედებითი საკუთრება CREATIVE COMMONS (CC)		უფასო საავტორო უფლებების ლიცენზიების ნაკრები, რომელიც მომხმარებლებს ნამუშევრის გაზიარებისა და გამოყენების ნებართვის მისაცემად მარტივ, სტანდარტიზებულ გზას სთავაზობს.
საეჭვო კვლევითი პრაქტიკა (QRPs), იგივე უპასუხისმგებლო კვლევითი პრაქტიკა (QUESTIONABLE RESEARCH PRACTICES (QRPs) Irresponsible research practices)		კვლევითი პრაქტიკები, რომლებიც ბევრისთვის არაეთიკურად ითვლება, თუმცა არ მიიჩნევა კვლევით დანაშაულად.
„სალამის პუბლიკაციები“('salami publications')		იგივე სეგმენტირებული, დაჩეხილი პუბლიკაციები, არის კვლევის კეთილსინდისიერების ერთ-ერთი დარღვევა, რომელიც გულისხმობს კვლევის შედეგების ხელოვნურ დანაწევრებას კონკრეტული მიზნით - გაიზარდოს კვლევის პუბლიკაციათა რაოდენობა.

სამმაგი უხილავი რეცენზირება/კოლეგიალური შეფასება (TRIPLE-BLIND PEER REVIEW)		რეცენზირების პროცესი, რომლის დროსაც არც რეცენზენტების, არც ავტორების და არც რედაქტორების ვინაობა არ არის გამჟღავნებული. ასეთი რეცენზირება, როგორც წესი, დამოუკიდებელი პირის (მაგალითად, გამომცემლის ან მოწვეული რედაქტორის) მიერ არის ორგანიზებული.
ტექსტის შესაბამისობის პროგრამული უზრუნველყოფა (TEXT-MATCHING SOFTWARE)		პროგრამა, რომელიც ამოწმებს ტექსტურ დოკუმენტს და განსაზღვრავს ტექსტურ დამთხვევებსა და შესაბამის წყაროებთან დაკავშირებულ ციტირებებს.
უპასუხისმგებლო კვლევითი პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მამხილებლობა (REPORTING IRRESPONSIBLE RESEARCH PRACTICES, Whistleblowing)		შესაბამისი ორგანოების შეტყობინება ნებისმიერი საეჭვო კვლევის არასათანადო და სხვა უპასუხისმგებლო კვლევის პრაქტიკის შესახებ, რომელიც ძირს უთხრის კვლევის სანდოობას.
უხილავი ავტორობა (GHOST AUTHORSHIP)		ავტორების იგნორირების პრაქტიკა, რომელიც ტექსტის წერის ან გამოსაქვეყნებლად მომზადების პროცესში არ ასახელებს მას ავტორად/თანააავტორად. იგულისხმება ავტორი, რომელსაც წვლილი მიუძღვის ტექსტის/პუბლიკაციის შექმნაში, მაგრამ მისი დამსახურება იგნორირებულია.
ღია რეცენზირება/კოლეგიალური შეფასება (OPEN PEER REVIEW)		წარდგენილი ნაშრომის რეცენზირების პროცესი, სადაც ყველა ჩართული მხარე იდენტიფიცირებულია.
ცალმხრივი უხილავი რეცენზირება/კოლეგიალური შეფასება (SINGLE-LIND PEER REVIEW)		რეცენზირების პროცესი, რომლის დროსაც ავტორებისთვის რეცენზენტების ვინაობა უცნობია.
ციტირების ამნეზია (CITATION AMNESIA)		იგივე კრიპტომნეზია, დავიწყებული სქოლიო, ქვეცნობიერი პლაგიატი - სხვისი ნაშრომების ციტირების უნებლიე უგულებელყოფა.
ჰარკინგი (HARKing)		სამეცნიერო კეთილსინდისიერების დარღვევა, რომლიც გულისხმობს ჰიპოთეზის წარმოდგენას სამეცნიერო კვლევის შედეგების მიღების შემდეგ და არა წინმსწრებად, იმისათვის, რათა მკვლევარის დაშვებები გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდეს.

SOURES:

ALLEA (2023) The European Code of Conduct for Research Integrity – Revised Edition 2023. Berlin. DOI 10.26356/ECOC

Tauginienė, L, Gaižauskaitė, I, Glendinning, I, Kravjar, J, Ojsteršek, M, Ribeiro, L, Odiņeca, T, Marino, F, Cosentino, M, Sivasubramaniam, S, Foltýnek, T. Glossary for Academic Integrity. ENAI Report 3G [online]: revised version, October 2018.